საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის
ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ16 – კმ25,5
მონაკვეთის

საავტომობილო გზის
სარეაბილიტაციო სამუშაოები

თბილისი
2019, ბოლო განახლება 2021

ნაწილი I: პროექტთან და ობიექტთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები				
ქვეყანა	საქართველო			
პროექტის სახელწოდება	ჟინვალი-ბარისახო-შატილის ს/გზის კმ16 –კმ25,5 მონაკვეთის რეაბილიტაცია			
პროექტის მასშტაბი და ღონისძიებები	საპროექტო გზა ერთადერთია, რომლითაც შეიძლება მოხვედრა თვალწარმტაც ხევსურეთში. რეგიონს აქვს მაღალი პოტენციალი მომავალი ტურისტული განვითარებისათვის, რადგან ხევსურეთის მაღალი მთები იზიდავს უამრავ უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს. საკვლევ მონაკვეთზე არსებული სავალი ნაწილი 7 მეტრი სიგანისაა, ხოლო გზის ვაკისის საშუალო სიგანე 7-დან 8 მეტრამდე იცვლება. არსებული ხელოვნური ნაგებობები, მილები, გასაწმენდია შესაკეთებელია და ზოგ ადგილებში საჭიროა ახლის მოწყობა. გზაზე მოწყობილი საგზაო ნიშნები და შემოფარგვლა ამორტიზირებულია და საჭიროებს შეცვლას და დამატებას. ასევე შესაკეთებელია მიერთებები და ეზოში შესასვლელები, არსებული ავტობუსის გაჩერებები, ავტოპავილიონები. თავდაპირველმა კონტრაქტორმა მოამზადა დეტალური პროექტი, რომელიც მოიცავს მიწის სამუშაოებს, საგზაო ნიშნების დამონტაჟებას, არხების მოწყობას და სხვა. აღნიშნულმა კონტრაქტორმა დაასრულა სამუშაოების შემდეგი მოცულობები: • ბუფერული ზონის დაახლოებით 65% (ლოტი 1) და 55% (ლოტი 2) გაწმენდილია ბუჩქებისა და ხეებისგან; • დასრულებულია მიწის სამუშაოების 55% (ლოტი 1) და 70% (ლოტი 2); • აშენებულია წყალსაცავების 55% (ლოტი 1) და 60-65% (ლოტი 2); • დასრულებულია 4 ხიდის 85-90% (ლოტი 1), 2 ხიდის 85-90% (ლოტი 1), 1 ხიდის 100% ლოტი 1) და 1 ხიდი (ლოტი 2); • დასრულებულია გაბიონების 5-8%; • აგებულია 7-8% (ლოტი 1) და 3-4% (ლოტი 2) ბეტონის თხრილები. • გზის მონაკვეთის 6 კმ (ლოტი 1) და 2 კმ (ლოტი 2) დაფარულია ასფალტით.			
საორგანიზაციო საკითხები (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია)	მსოფლიო ბანკი (პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელი) **ნატალია სტანკევიჩი**	პროექტის მენეჯმენტი **გიორგი წერეთელი**	ადგილობრივი მონაწილე მხარე და/ან მიმღები **დუშეთის მუნიციპალიტეტი**	
განხორციელება (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია)	მსოფლიო ბანკი გარემოს დაცვის ზედამხედველი **დარეჯან კაპანაძე** სოციალური კონსულტანტი **დავით ჯეჯელავა**	ადგილობრივი ზედამხედველი (საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია) მ. ჯიშიაშვილი	ადგილობრივი ინსპექცია -	კონტრაქტორი შპს „ერტედე“
ობიექტის აღწერა				
ობიექტის დასახელება	ჟინვალი-ბარისახო-შატილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ16 –კმ25,5 მონაკვეთი. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, დუშეთის მუნიციპალიტეტი.			

ობიექტის ადგილმდებარეობის აღწერა	ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზა წარმოადგენს ფშავ-ხევსურეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელ ერთადერთ სატრანსპორტო არტერიას.
ვინ არის მიწის მესაკუთრე?	(i) არსებული გზა გადის დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; (ii) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს.ს.ი.პ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიები (სულ 596მ^2). აღნიშნული ტერიტორია ამორიცხულ იქნა სახელმწიფო ტყის ფონდიდან; (iii) პროექტის განხორციელებისას არ იქნება საჭირო დამატებითი ინვენსტიცია გაფართოებასა ან სხვა მიმართულების შესარჩევად, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს ზემოქმედება კერძო საკუთრებებზე. სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთზე შესაბამისი კვლევის ჩატარების შემდგომ ზემოქმედება კერძო მიწის ნაკვეთებზე არ იქნა გამოვლენილი.
გეოგრაფიული, ფიზიკური, ბიოლოგიური, გეოლოგიური ჰიდროგრაფიული და სოციო-ეკონომიკური გარემოს აღწერა	<u>**მდებარეობა**</u>: ჟინვალი-ბარისახო-შატილის ს/გზა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და ფშავ-ხევსურეთის რეგიონს ქვეყნის დანარჩენ ნაწილებთან აკავშირებს. რეგიონი დიდი მნიშვნელობისაა, მათ შორის ტურისტული დანიშნულებითაც, შესაბამისად ადგილობრივი და ასევე საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა დიდია. ჟინვალი-ბარისახოს სარეაბილიტაციო გზა გადის მდ. ფშავის-არაგვის ხეობაში. იგი იკვეთება სამი დიდი მდინარით და 43 მცირე, უსახელო ხევით. დიდი მდინარეებიდან აღსანიშნავია ფშავის-არაგვი, შარახევი და მადაროსწყალი. მათ შორის მდ. ფშავის-არაგვი სარეაბილიტაციო გზით იკვეთება ორ ადგილას არსებული ხიდით. <u>**ჰაერი**</u>**:** საგზაო მოძრაობის დაბალი ინტენსიობისა და ინდუსტრიული ობიექტების არარსებობის გამო ჰაერის ხარისხის პარამეტრები მაღალია <u>**წყალი და ნიადაგი**</u>**:** ოფიციალური მონაცემები დაბინძურების შესახებ არ არსებობს. <u>**ფლორა**</u>**:** აღნიშნულ ტერიტორიაზე პროექტისპირდაპირიზეგავლენის ქვეშ გვხვდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სსიპ. ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიო ტყის ფონდის კუთვნილი ტერიტორიები, სადაც გვხვდება შემდეგი ჯიშისა და რაოდენობის ხეები: ჯაგრცხილა Caprinus orientalis -5 ძირი, რცხილა Carpinus caucasica -9 ძირი, მურყანი Alnus barbata -11 ძირი და ნეკერჩხალი Acer campestre -13 ძირი. პროექტის ზეგავლენის ქვეშ არ ხვდება წითელი ნუსხით დაცული ხეები. <u>**ფაუნა**</u>**:** სარეაბილიტაციო გზა გადის დეგრადირებულ ტერიტორიაზე შესაბამისად ასსეტ პირობებში ლორა და აუნა ვერ იქნება მრავალფეროვანი, ძირითადად ფაუნა წარმოდგენილია შინაური ცხოველების სახით, რომლებიც არ საჭიროებენ დაცვას და სპეციალურ ღონისძიებებს. პროექტის მცირე არეალის გამო ზემოქმედება ფაუნაზე იქნება მინიმალური. <u>**ხმაური**</u>**:** ინდუსტრიული ობიექტების უქონლობისა და საგზაო მოძრაობის დაბალი ინტენსიობის გამო ხმაურის დონე დაბალია. სამშენებლო სამუშაოებს ექნებათ ზომიერი ლიმიტირებული გავლენა მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილზე რომლებიც ცხოვრობენ არსებულ სოფლებში (გზის გასწვრივ) და აღნიშნული გავრცელდება მხოლოდ რეაბილიტაციის ფაზაზე. <u>**სოციალური**</u>: საპროექტო მონაკვეთი გადის ერთ სოფელში და წარმოადგენს ცხრა სოფლის საგზაო კავშირს საქართველოს საავტომობილო საგზაო ქსელთან
მასალების მოპოვების ადგილმდებარეობა და მანძილი, განსაკუთრებით ინერტული მასალების, წყლის, ქვამასალის	ინფორმაცია ახლო მდებარე კარიერების შესახებ გთხოვთ იხილოთ დანართ 1-ში
კანონმდებლობა	
საპროექტო ღონისძიებებთან დაკავშირებული ნაციონალური და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვები	პროექტი ექვემდებარება მსოფლიო ბანკის სამოქმედო პოლიტიკას OP/BP 4.01 – გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ და მისი პრინციპების თანახმად კლასიფიცირებულია როგორც გარემოზე ზემოქმედების “ბ” კატეგორიის ქმედება. გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე გეგმა მომზადებულია OP/BP 4.01-ით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

	საქართველოს კანონმდებლობით გზების რეაბილიტაციის პროექტისთვის არ არის მოთხოვნილი მისი გარემოზე ზემოქმედების განხილვა, დამტკიცება ან ნებართვის გაცემა. თუმცა, ეროვნული რეგულირების სისტემით: • კონტრაქტორი უნდა იყოს ლიცენზირებული; • სამშენებლო მასალების მომწოდებელი უნდა იყოს ლიცენზირებული; • თუ კონტრაქტორი მოინდომებს გახსნას საკუთარი კარიერი, უნდა აიღოს შესაბამისი ლიცენზია; • თუ კონტრაქტორს სურს გახსნას ალსფალტის ან ცემენტის საკუთარი ქარხანა, მან უნდა მიიღოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, რომელშიც მოცემული იქნება დაბინძურების კონცენტრაციის ზედა ზღვარი; • სამშენებლო ნარჩენები განთავსებული უნდა იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ წერილობით შეთანხმებულ წინასწარ შერჩეულ ადგილზე. • სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც ამოირიცხა სახელმწიფო ტყის ფონდან და გადაეცა საავტომობილო გზების დეპარტამენტს. მოცემულ ეტაპზე ზემოაღნიშნული პროცედურა დასრულებულია.
საჯარო შეხვედრები	
განსაზღვრეთ სად და როდის ჩატარდა საჯარო შეხვედრა	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის პრინციპების განმსაზღვრელი ჩარჩო დოკუმენტი შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისათვის განთავსდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე და დაინტერესებულ მხარეთათვის ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრა 2015 წლის 14 ივლისს. ასევე წინამდებარე დოკუმენტი განთავსდა ს/გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე და მისი ნაბეჭდი ვერსია მიეწოდება დუშეთის მუნიციპალიტეტს. ჩატარებული საჯარო განხილვის ოქმი თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს. წინამდებარე დოკუმენტის განახლებული ვერსია 2021 წლის 23 აგვისტოს აიტვირთა საავტმობილო გზების დეპარტამენტის ვებ გვერდზე
დანართები	
	დანართი–1: სამშენებლო უბნის რუკა; დანართი–2: საჯარო შეხვედრების ოქმი; დანართი–3; შეთანხმება ნარჩენების განთავსების შესახებ; დანართი–4; კარიერების ლიცენზია; დანართი–5; ასფალტის ქარხნის საექსპლოატაციო შეთანხმება

ნაწილი II: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სკრინინგი უსაფრთხოების პოლიტიკის ასამოქმედებლად			
	სამუშაოები/საკითხი	**სტატუსი**	**გამშვები მექანიზმი**
მოიცავს თუ არა ობიექტზე მიმდინარე სამუშაოები შემდეგიდან რომელიმე ქმედებას?	**ა.** გზების რეაბილიტაცია	[x] დიახ [ ] არა	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „ა"
	ბ. ახალი მცირემაშტაბიანი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა	[ ] დიახ [x] არა	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „ა"
	გ. გავლენა ზედაპირულ სადრენაჟო სისტემაზე	[x] დიახ [ ] არა	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „ბ"
	დ. ისტორიული ნაგებობა(ები) და ოლქები	[ ] დიახ [x] არა	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „გ"
	ე. მიწების შესყიდვა[1]	[x] დიახ [] არა	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „დ"
	ვ. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები[2]	[] დიახ [x] არა	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „ე"
	ზ. ზეგავლენა ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[x] დიახ [] არა	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „ვ"
	თ. აუფეთქებელი ჭურვების არსებობის რისკი	[ ] დიახ [x] არა	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „ზ"
	ი. სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[x] დიახ [ ] არა	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „თ"
	კ. ზემოქმედება კერძო საკუთრებაზე და გამოყენება	[] დიახ [ ] არა [x]	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „თ"
	ლ. სოციალური რისკები	[] დიახ [ ] არა [x]	თუ „დიახ" იხ. ნაწილი III „ი"

[1] მიწების შესყიდვა მოიცავს ხალხის ადგილმონაცვლეობას, ცხოვრების წესის შეცვლას, ეს ეხება იმ მიწას რომლის შესყიდვა/გადაცემა მოხდა და გავლენა აქვს იმ პირებზე, ვინც ცხოვრობს და/ან უკანონოდ იმყოფება და/ან ეწევა ბიზნეს საქმიანობას (ჯიხურები) იმ მიწაზე, რომლის შეძენაც მოხდა.

[2] ტოქსიკური/სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ასბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე გამხსნელი ნივთიერებები, ტყვიის შემცველი საღებავების მოცილება და სხვა.

ნაწილი III: შემამსუბუქებელი ღონისძიებები

საქმიანობა	პარამეტრები	შემამსუბუქებელი ღონისძიებების კითხვარი
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და მუშათა უსაფრთხოება	(ა) ადგილობრიბვი მშენებლობის და გარემოს დაცვის ინსპექციის და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები ინფორმირებული უნდა იყვნენ მოსალოდნელი სამუშაოების შესახებ. (ბ) საზოგადეობას ინფრომაცია მიეწოდება სამუშაოების შესახებ მედიის საშუალებით და/ან საჯაროდ ხელმისაწვდომ ობიეტქებზე (მათ შორის სამშენებლო მოედანი) სათანადო შეტყობინების გაგზავნის გზით. (გ) გზის მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა იურიდიული ნებართვა უნდა იქნას მოპოვებული. (დ) კონტრაქტორი ფორმალურად უნდა იყოს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხოდ და დისციპლინირებულად, რათა შემცირდეს ზემოქმედება ახლომდებარე მოსახლეობაზე და გარემოზე. (ე) მუშათა პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობები (PPE) უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს (ყოველთვის უნდა ატარონ ჩაფხუტები, საჭიროებისამებრ ნიღბები და უსაფრთხოების სათვალე, დამცავი ფეხსაცმელები). (ვ) სამშენებლო მოედანზე განთავსებული შესაბამი მაჩვენებელი ნიშნები შეახსენებს მუშებს ძირითადი წესებისა და ნორმების შესახებ.
ა. ძირითადი სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო ღონისძიებები	ჰაერის ხარისხი	(ა) მიწის სამუშაოების დროს მტვრის კონტროლი უნდა განხორციელდეს მაგ. ნიადაგის მორწყვით ან დატენიანებით. (ბ) ნანგრევები, ამოღებული მიწა და აგრეგატები უნდა განთავსდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე და პერიოდულად მოირწყას, რათა შემცირდეს მტვრის წარმოშობა. (გ) პნევმატური ბურღვის ან საფარის მტვრევის და გზის საფუძვლების დაშლის სამუშაოების დროს წარმოქმნილი მტვერი უნდა შემცირდეს მორწყვის საშუალებით და/ან ობიეტზე უნდა დამონტაჟდეს მტვრის საკონტროლო მოწყობილობები. (დ) მიმდებარე ტერიტორიაზე (ტროტუარი, გზა) არ უნდა განთავსდეს სამშენებლო ნარჩენები და მიწა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მტვრის წარმოქმნის რისკები. (ე) სამშენებლო ნარჩენების/ნაგვის ღიად დაწვა არ დაიშვება სამშენებლო მოედანზე. (ვ) მანქანა-დანადგარები შესაბამისობაში უნდა იყოს ემისიების წარმოშობის რეგულაციებთან, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო ტექნიკური რემონტი და მომსხურება და მოედანი თავისუფალი უნდა იყოს ზედმეტი უქმად მდგომი სამშენებლო მანქანებისგან.
	ხმაური	(ა) მშენებლობით გამოწვეული ხმაური შეიზღუდება ნებართვით დადგენილ გარკვეული დროებში. (ბ) გენერატორების, ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის თავსახურები მუშაობის პერიოდში დაკეტილი უნდა იყოს და დანადგარები უნდა განთავსდეს დასახლებული პუნქტებიდან რაც შეიძლება შორს.

	წყლის ხარისხი	(ა) ობიექტზე გატარდება ეროზიისა და სედიმენტების კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები, როგორიცაა მაგალითად: თივის ზვინები და/ან შლამსაჭერი, რათა თავიდან იქნეს აუცილებული ნალექის სამშენებლო მოედნიდან გამოტანა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი საკანალიზაციო სისტემების, ახლომდებარე ღელეების და მდინარეების დაბინძურება.
	ნარჩენების მართვა	(ა) ნარჩენების მოსაგროვებელი და გადასაყრელი ადგილები განსაზღვრული უნდა იყოს ყველა ტიპის ნარჩენისთვის, რომელიც წარმოიშვება მიწის სამუშაოების, დემონტაჟისა და სამშენებლო სამუშაოების შედეგად. (ბ) მშენებლობის და დემონტაჟის შედაგად დარჩენილი მინერალური ნაგავი/ნარჩენები უნდა განცალკევდეს საერთო, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისგან და ადგილზე დახარისხდეს და შეიქმნას შესაბამისი შემნახველი კონტეინერები. (გ) სამშენებლო ნარჩენებს მოაგროვებს და გაიტანს ლიცენზირებული კომპანია. (დ) იმისათვის, რომ გაკონტროლდეს ნარჩენების განთავსების სისწორე და შესაბამისობა, საჭიროა მოხდეს ნაგვის გატანის ჩანაწერის წარმოება. (ე) შესაძლოა მშენებელმა ხელმეორედ გამოიყენოს და რეციკლირება გაუკეთის ვარგის მასალებს (გარდა აზბესტის შემცველი მასალებისა).
ბ. გავლენა ზედაპირულ სადრენაჟო სისტემაზე	**წყლის ხარისხი**	(ა) ადგილი არ უნდა ჰქონდეს გრუნტის წყლების არაკონტროლირებად ამოღებას, არც ტექნიკური წყლების, ცემენტის ხსნარის ან სხვა დაბინძურებული წყლების არაკონტროლირებად დაცლას მიწაზე ან ახლომდებარე მდინარეში ან ღელეში; კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს ყველა საჭირო ლიცენზია და ნებართვა წყლის მოსაპოვებლად და შემდგომ გამოყენებული წყლის გადასაღვრელად სახელმწიფო გამდინარე წყლების სტემაში. (ბ) სათანადო კანალიზაციის სისტემა ისე უნდა მოეწყოს, რომ სამშენებლო სამუშაოებმა შლამით არ ამოქოლოს, დააბინძუროს ან დაბლოკოს ან სხვაგვარად უარყოფითი ზეგავლენა არ იქონიოს ბუნებრივ ნაკადულებზე/ღელეებზე, მდინარეებზე, წყალსატევებსა და ტბებზე. (გ) უნდა გატარდეს პრევენციული ღონისძიებები საწვავ - საპოხი მასალების და სხვა ტოქსიკური და მავნე ნივთიერებების დაღვრის საწინააღმდეგოდ. (დ) სამშენებლო მანქანები და დანადგარები გაირეცხება მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში, სადაც წყლის გადინება არ დააბინძურებს წყლის შემკრების/რეზერვუარის ზედაპირს.
გ. ისტორიული ძეგლი(ები)	**კულტურული მემკვიდრეობა**	(ა) იმ შემთხვევაში თუ მშენებლობა ხორციელდება ისტორიული ნაგებობების სიახლოვეს, ან ისტორიულ უბანში, უნდა მოხდეს შეტყობინება და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოებიდან თანხმობის/ნებართვების აღება. ყველა სახის სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ადგილობრივი და ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად. (ბ) ექსკავირების ან მშენებლობის დროს უძველესი ხანის კულტურული ნაშთების ან სხვა შესაძლო არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია ამ ფაქტის დაფიქსირება და რეგისტრირება, პასუხისმგებელი ოფიციალური უწყებების საქმის კურსში ჩაყენება და სამუშაოების შეჩერება ან შეცვლა წარმოშობილი გარემოების გათვალისწინებით.

დ. მიწების შესყიდვა	**განსახლების სამოქმედო გეგმა/ჩარჩო-დოკუმენტი**	(გ) თუ მიწის ექსპროპრიაცია არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ საჭირო გახდა, ან ადგილი ექნება მიწის კანონიერი თუ უკანონო მესაკუთრის მხრიდან შემოსავლის გაუთვალისწინებელ დანაკარგს, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბანკის პროგრამების ჯგუფის ხელმძღვანელს. (დ) უნდა განხორციელდეს დამტკიცებული მიწის შესყიდვის გეგმა/ჩარჩო-დოკუმენტი (თუკი ეს მოთხოვნილია პროექტით).
ე. ტოქსიკური მასალები	**ასბესტის მართვა**	(ა) სამშენებლო მოედანზე ასბესტის არსებობის შემთხვევაში, იგი მკაფიოდ უნდა მოინიშნოს როგორც სახიფათო მასალა. (ბ) შესაძლებლობის შემთხვევაში, ასბესტი სათანადო ნორმების დაცვით უნდა განთავსდეს კონტეინერებში და დაილუქოს მავნე ზეგავლენის მაქსიმალურად შემცირების მიზნით. (გ) გატანამდე (თუ გატანა აუცილებელია) ასბესტი უნდა დამუშავდეს დამატენიანებელი ნივთიერებით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ჰაერში ასბესტის მტვრის ნაწილაკების მოხვედრა. (დ) ასბესტის მართვა და გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი და პროფესიონალი სპეციალისტების მიერ. (ე) ასბესტის დროებით შენახვის შემთხვევაში, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა მოთავსდეს ჰერმეტულ კონტეინერებში და სათანადოდ მოინიშნოს. მიღებული იქნება უსაფრთხოების ზომები ობიექტიდან ასბესტის უნებართვოდ გატანის წინააღმდეგ. (ვ) არ შეიძლება ერთხელ გატანილი ასბესტის ხელმეორედ გამოყენება
	ტოქსიკური / სახიფათო ნარჩენების მართვა	(ა) სამშენებლო უბანზე სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებების დროებითი შენახვა უნდა მოხდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც მითითებული იქნება ინფორმაცია შემადგენლობის, თვისებებისა და გამოყენების შესახებ. (ბ) სახიფათი ნივთიერებების შემცველი კონტეინერები დაღვრის თავიდან აცილების მიზნით უნდა მოთავსდეს ჰერმეტულ კონტეინერებში. (გ) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სპეციალური ლიცენზირებული გადამტანების მიერ. ნარჩენები უნდა განთავსდეს ლიცენზირებულ ადგილას. (დ) არ მოხდება ტოქსიკური შემადგენლობის მქონე საღებავების ან გამხსნელების და ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება.
ვ. ტყეებზე, ჭაობიან და/ ან დაცულ ტერიტორიებზე ზეგავლენა	**ეკოსისტემის დაცვა**	(ა) დაუშვებელია სახელმწიფო ტყის ფონდის კუთვნილ ტერიტორიებზე სამუშაოების განხორციელება ამორიცხვის პროცედურის დასრულებამდე (ბ) ხეების ჭრა უნდა დაყვანილი უნდა იქნას მინიმუმამდე, მისასვლელი გზების მიმართულების რეგულირების საშუალებით, ასევე მცირე გაბარიტიანი ტექნიკისა და მუშა-ხელის გამოყენებით ინდივიდუალური ლოკაციებისთვის. (გ) თითოეული მოსაჭრელი ხე უნდა იქნას მარკირებული და მოჭრის შემდგომ დაფიქსირდეს ჟურნალში.

ზ. აუფეთქებელი საბრძოლო მასალების არსებობის რისკი (UXO)	ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები	(ა) ექსკავაციის სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი უნდა დარწმუნდეს, რომ სამშენებლო უბანი შესაბამისი ორგანოების მიერ შემოწმებული და გასუფთავებულია ასაფეთქებელი მოწყობილობებისგან.
თ. სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო ღონისძიებების პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ფეხით მოსიარულეებზე	(ა) ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს სამშენებლო უბნის სათანადო უსაფრთხოება და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ▪ საინფორმაციო და გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და მოძრაობის გადართვა: მშენებლობის ადგილზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგი ხილვადობა და საზოგადოების გაფრთხილება შესაძლო რისკების შესახებ; ▪ სატრანსპორტო მოძრაობის მართვის სისტემა და თანამშრომელთა ტრეინინგი, განსაკუთრებით ობიექტთან მისვლისა და სამშენებლო უბნის სიახლოვეს დატვირთული მოძრაობის საკითხებზე. ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გასასვლელებისა და გზაჯვარედინების უზრუნველყოფა იმ ადგილებში, სადაც მშენებლობა აფერხებს მოძრაობას; ▪ სამუშაო საათების რეგულირება ადგილობრივი მოძრაობის სქემას შესაბამისად, მაგ: პიკის საათებში ან საქონლის მოძრაობის დროს ძირითადი ტრანსპორტის გადაადგილების თავიდან აცილება. ▪ საჭიროების შემთხვევაში, საგზაო მოძრაობის აქტიური რეგულირება ობიექტზე გაწვრთნილი პერსონალის მიერ საზოგადოების უსაფრთხო გადაადგილებისათვის. ▪ მშენებლობის პერიოდში ახლომდებარე სამუშაო დაწესებულებებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებლებთან უსაფრთხო და შეუფერხებელი მისასვლელების უზრუნველყოფა
ი. ზემოქმედება მიწის საკუთრებაზე და გამოყენებაზე	მიწაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა /დაკარგვა	ა) ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე/აქტივებზე შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბ) გზის სამუშაოების დაგეგმვა ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და აქტივებზე შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა, რაც შეილება მიღწეულ იქნას გზებზე ჩასატარებელი სამუშაოებისა და შესაბამისი ღონისძებების დაგეგმვისა და განხორციელებისა ადგილობრივ მოსახლეობის წარმომადგენლებთან მუდმივი კოორდინაციით
	დროებითი ზემოქმედება კერძო საკუთრებაში არსებულ აქტივებზე	ა) კერძო საკუთრების გადაფარვის ან შემთხვევით დაზიანების თავიდან აცილება (კედლებთან და ღობეებთან ახლოს, მცირე გაბარიტიანი ტექნიკის გამოყენებით ან სამშაოების ხელით ჩატარების გზით, სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დასაწყობებით ერძო საკუთრებაში არსებულლი ტერიტორიებიდან მოშორებით და ა.შ.); ბ) კერძო საკუთრების გაუთვალისწინებელი დაზიანების შემთხვევაში, მოხდეს მისი სწრაფად აღდგენა თავდაპირველ ან უკეთეს მდგომრეობაში; გ) იმ შემთხვეაში, თუ მოსალოდნელია კერძო საკუთრებაზე დროებითი ზემოქმედება, მოხდეს მესაკუთრეთა წინასწარი ინფორმირება და მიეცეთ დაზიანებული ქონების აღდგენის გარანტია, წინასწარ მოხდეს კერძო მესაკუთრეებისგან

		წერილობითი თანხმობების მოპოვება, მათ საკუთრების ხელყოფისა და დაზიანების პირვანდელ ან უკეთეს მდგომარეობამდე დაუყოვნებლივ აღდგენისს თაობაზე; დ) იმ შემთხვევავაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოიქმნება მიწის ჩამორთმევის მოულოდნელი საჭიროება, დაუშვებელია ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნკვეთზე შესვლა, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებამდე და მის სრულ განხორციელებამდე.
	შემოსავლების ან აქტივების დაკარგვა არასანქცირებული ჩარევის შედეგად, ტერიტორიის დაკავება სამშენებლო დერეფნის გარეთ	ა) თავიდან იქნას აცილებული, სამშენებლო დერეფნის გარეთ არსებულ ტერიტორიაზე არასანქცირებული ჩარევა; ბ) თუ ასეთი ზემოქმედება დადგება, სამშენებლო კომპანიის მუშების დაუდევრობით, უნდა მოხდეს შემთხვევის / საჩივრის დაფიქსირება, შეფასდეს ზარალი და გაიმართოს მოლაპარაკება დაზარალებულ მესაკუთრესთან ARAP- ში (შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა) აღწერილი პრინციპებსა და შეფასების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და უზრუნველყოს სამართლიანი ფულადი კომპენსაცია სამშენებლო კომპანიის კუთვნილი ბიუჯეტიდან; გ) იმ შემთხვევაში გადაწვეტილების მიღება ვერ ხერხდება მოლაპარაკების გზით, გამოყენელულ იქნას GRM-ის (საჩივრების განხილვისა და გადაჭრის მექანიზმი) პროცედურები.

ნაწილი IV: მონიტორინგის გეგმა

მშენებლობის ფაზა

საქმიანობა	**რა?** (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი)	**სად?** (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი)	**როგორ?** (უნდა განხორციელდეს პარამეტრიზე მონიტორინგი)	**როდის?** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა)	**რატომ?** (არის პარამეტრი მონიტორინგის ქვეშ)	**ვინ?** (არის პასუხსიმგებელი მონიტორინგზე)
სამშენებლო მასალებით მომარაგება	სამშენებლო მასალების შეძენა ოფიციალური არხებით ლიცენზირებული მომწოდებლებისგან	მასალების მომწოდების ოფისში, საწყობ ბაზაზე, მდინარის პირას, კარიერზე	საბუთების შემოწმება; ხარისხის შემოიწმება	მასალებით მომარაგების ხელშეკრულებათა გაფორმებისას	ნაგებობის ტექნიკური გამართულობისა და გარემოსა და ადამიანის უსაფრთხოების უზუნველსაყოფად	საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)
სამუშაოები ტყით დაფარულ ტერიტორიებზე	დაუშვებელია სახელმწიფო ტყის ფონდის კუთვნილ ტერიტორიებზე სამუშაოების განხორციელება ამორიცხვის პროცედურის დასრულებამდე. სამშენებლო ტექნიკის მოძრაობამ ან სხვა საქმიანობებმა არ უნდა გამოიწვიოს ხე-მცენარეების დაზიანება და მოჭრა, თუ აღნიშნული საქმიანობა არ არის გათვალისწინებული გზის საფარისა და გვერდულების მოწყობისთვის. თითოეული მოსაჭრელი ხე უნდა იქნას მარკირებული და მოჭრის შემდგომ დაფიქსირდეს ჟურნალში.	სამშენებლო ბანაკი ტყით დაფარულ ტერიტორიაზე. მშენებელი კონტრაქტორის ოფისი	დოკუმენტაციის შემოწმება ვიზუალური დათვალიერება.	ტყით დაფარულ ტერიტორიაზე სამუშაოების დაწყებამდე და მიმდინარეობის პროცესში.	ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; ტყით დაფარულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შემცირება; ხე-მცენარეების ჭრის დროს წარმოებული ჟურნალების მიწოდების ხელშეწყობა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი

სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება	- სატვირთო მანქანების და საგზაო სამშენებლო ტექნიკის გამართულობა; - ძარის სრულფასოვნება და ტვირთის დაცულობა საფარი მასალით; -ტექნიკის გადაადგილება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით	საშენი მასალებისა და სამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირების მარშრუტები	სამშენებლო ობიექტთან მიმდებარე გზების ინსპექტირება გადაადგილების მარშრუტების მიმართულებებით	წინასწარ განუცხადებელი შემოწმება სამუშაო საათებში	- მტვერით და მყარი მასალით ჰაერისა და გზების დაბინძურების თავიდან ასარიდებლად; - საავტომოილო მოძრაობის შეფერხების შესაზღუდად	სგდ; საპატრულო პოლიცია
სამშენებლო ტექნიკის ოპერირება ობიექტზე	სამშენებლო ტექნიკის გამართული მუშაობა: - გამონაბოლქვის სიჭარბე - საწვავ-საპოხის ჟონვა - სამუშაო საათების დაცულობა	სამშენებლო ობიექტი	საქმიანობის ინსპექტირება	სამუშაო საათებში და მათ გარეშე	- ტექნიკის ოპერირებისაგან ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების შესამცირებლად; - მოსახლეობის ხმაურითა და ვიბრაციით შეწუხების შესაზღუდად	სგდ

სამშენებლო ტექნიკის მომსახურება	- ავტომობილების და ტექნიკის რეცხვა სამშენებლო ობიექტის გარეთ ან მდინარიდან მაქსიმალურად მოცილებულ ადგილას; - ტექნიკის გამართვა საწვავ-საპოხით სამშენებლო ობვიექტს გარეთ ან ობიექტზე მოწყობილ საგანგებო პუნქტში; - ტექნიკის მომსახურების პუნქტის ტექნიკური გამართულობა: • მყარი გაუმტარი იატაკი ან ადსორბენტის (ქვიშა, წვრილი ხრეში, მემბრანა) საფარი • საკმაო ფართობი და გაუმტარი ბარიერები საწვავის კონტეინერთა გარშემო • საბაზისო ცეცხლმაქრი საშუალებები • სალექარები მანქანების სამრეცხაოსთან	სამშენებლო ობიექტი და მასთან არსებული სამშენებლო ბაზა (თუკი იარსებებს)	საქმიანობის ინსპექტირება	ტექნიკის ოპერირების პერიოდი	- ტექნიკის მომსახურებისაგან ნადაგისა და წყლის ნავთობპროდუქტებით დაბინძურების თავიდან არიდება; - აალებადი ნივთიერებებისგან ხაძრის გაჩენის შემთხვევაში მისი დროული ლოკალიზების უნზრუნველსაყოფად და მოსალოდნელი ზარალის შესამცირებლად.	სგდ
ზედაპირული წყლების დაბინძურება ხიდის რეაბილიტაციის დროს	ატინარებული ნატანის, ორგანული ნარევების, საპოხი მასალების, საწვავის, გამხსნელების, მძიმე მეტალების pH დონე, ზეთების	ხიდის რეაბილიტაცია	ინსპექტირება	მდინარის მიმდებარედ სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს. დაუგეგმავი ინსპექტირება მდინარის მიმდებარედ სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს.	მანქანა დანადგარების ოპერორებით გამოწვეული წყლის დაბინძურების შემცირება	სგდ
ინერტული მასალების მოპოვება	- ინერტული მასალების შეძენა არსებული მომპოვებლებისგან თუკი ამის საშუალება არსებობს;	ინერტული მასალის კარიერები	საბუთების შემოწმება საქმიანობის ინსპექტირება	მასალათა მოპოვების პერიოდში	- ფერდობების ეროზიის, ეკოსისტემისა და ლანდშაფტის დაზიანების შესაზღუდად;	სგდ; გარემოს ეროვნული სააგენტო

	- მშენებელი კონტრაქტორის მიერ ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიის მოპოვება და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; - კარიერების ტერასული დამუშავება, დამუშავებულ უბნებზე ნარჩენი მასალის უკუჩაყრა და ლადშაფტთან ჰარმონიზაცია; - ხრეშის ამოღება წყლის ნაკადის გარეთ, ნაკადისაგან გამმიჯნველი ყრილების მოწყობით და ნაკადში სამშენებლო ტექნიკის შეუყვანლად; -კარიერების მონიშვნა გამაფრთხილებელი ნიშნებით				- მდინარეთა ნაპირების ეროზიის, წყლის ნაკადის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებისა და წყლის ეკოსისტემებზე ზემოქმედების შესაზღუდად; -პირუტყვასა და მოსახლეობის დაცვა დაზიანებისგან.	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	- ინერტული და სახიფათო სამშენებლო ნარჩენების განცალკევებით დროებითი დასაწყობება განსაზღვრულ ადგილებში; - ნარჩენების დროული გატანა წინასწარ წერილობით ნებადართულ ადგილებში; - სახიფათო ნარჩენების ჩაბარება მათი უვნებელყოფისა და განთავსების ლიცენზიის მქონე კომპანიებისთვის	სამშენებლო ობიექტი და ბაზა (თუკი იარსებებს); ნარჩენების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილები	საბუთების შემოწმება ვიზუალური დათვალიერება	მშენებლობის მთელ პერიოდში	გარემოს დაცვა დანაგვიანებისგან	სგდ; დუშეთის მუნიციპალიტეტი

სახიფათო ნარჩენები	ნარჩენების დროული გატანა წინასწარ წერილობით ნებადართულ ადგილებში; - სახიფათო ნარჩენების ჩაბარება მათი უვნებელყოფისა და განთავსების ლიცენზიის მქონე კომპანიებისთვის (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთე დანართი 2)	სამშენებლო ობიექტი	საქმიანობის ინსპექტირება	ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების დროს	აზბესტშემცველი მასალების შემცერება	სგდ; დუშეთის მუნიციპალიტეტი
საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა	- სამშენებლო ობიექტზე და ბაზაზე (თუკი იარსებებს) საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების განთავსება; -შეთანხმება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული გატანის თაობაზე	სამშენებლო ობიექტი და ბაზა (თუკი იარსებებს)	ვიზუალური დაკვირვება	მშენებლობის მთელ პერიოდში	საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ნიადაგისა და წყლის დაბინძურების აღსაკვეთად	სგდ; დუშეთის მუნიციპალიტეტი
თხევადი ნარჩენების წარმოქმნა	- სამშენებლო ობიექტზე და ბაზაზე (თუკი იარსებებს) სანიტარულ ნორმებთან შესატყვისი ტუალეტის მოწყობა და მომსახურება; - სამშენებლო ობიექტიდან წვიმის წყლის შეგროვებისა და გადინებისთვის სადრენაჟო სისტემის მოწყობა და პერიოდული გაწმენდა; - საყოფაცხოვრებოდ და ტექნიკის სარეცხად გამოყენებული წყლის სალექარი გუბურის მოწყობა	სამშენებლო ობიექტი და ბაზა (თუკი იარსებებს)	ვიზუალური დავკირვება	მშენებლობის მთელ პერიოდში გახშირებული რეჟიმით ძლიერი ნალექიანობის შემთხვევაში	- სამშენებლო ობიექტის დატბორვისა და ამით საქმიანობის გაძნელების აღსაკვეთად; - ზედაპირული და გრუნტის წყლის დაბინძურების შესამცირებლად	სგდ

ასფალტ-ბეტონის ქარხნის ოპერირება	- მშენებლი კონტრაქტორის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვება და მისი პირობების განუხრელი დაცვა; - ქარხნის დასამონტაჟებლად იმგვარი ადგილის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მინიმალურ შეწუხებას ხმაურით, მტვრითა და გამონაბოლქვით; - ქარხნიდან ჩამდინარე წყლის სალექრი გუბურის მოწყობა	ქარხნის ტერიტორია	საბუთების შემოწმება საქმიანობის ინსპექტირება	ქარხნის დამონტაჟებისა და მისი ოპერირების მთელ პერიოდში	- სამშენებლო ობიექტის სიახლოვეს მოსახლეობის შეწუხების შესაზღუდად; - ატმოსფერული ჰაერისა და ზედაპირული წყლის დაბინძურების შესამცირებლად	სგდ; გერემოს ეროვნული სააგენტო
შრომის უსაფრთხოება	- მშენებელთა უზრუნველყოფა სპეცტანსაცმლით და პირადი დამცავი საშუალებებით; - სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციის და პირადი უსაფრთხოების საშუალებების გამოყენების წესების ზუსტი დაცვა	სამშენებლო ობიექტი	საქმიანობის ინსპექტირება	სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში	მშენებელტა ტრავმატიზმისა და უბედურ შემთხვევათა ალბათობის შესამცირებლად	სგდ
არანებაყოფლობითი განსახლება	პროექტის განხორციელებისას საჭიროების შემთხვევაში გსგ-ს მომზადება, რომელიც შეთანხმებული იქნება მსოფლიო ბანკთან და შესაბამისად განხორციელდება განსახლების სამოქმედო გეგმა	განთვისების ზოლში	პერიოდული მონიტორინგი თუ კი არის რაიმე სახის ზემოქმედება კერძო ნაკვეთებსა ან სხვა სახის ქონებაზე	მთლიანად პროექტის განხორციელებისას	კერძო საკუთრებასა ან სხვა სახის ქონებაზე ზემოქმედების აცილების მიზნით	სგდ

ექსპლუატაციის ფაზა

საქმიანობა	**რა** (პარამეტრზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	**როდის** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	**რატომ** (არის პარამეტრი მონიტორინგის ქვეშ?)	**ვინ** (არის პასუხსიმგებელი მონიტორინგზე?)
გზის სავალი ნაწილისა და მისი გვერდულების დასუფთავება	მგზავრებისა და მძღოლეის მიერ დატოვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული შეგროვება და გატანა; გზაზე დაღუპული ცხოველთა ნარჩენების დროული გატანა	გზის მიმდებარე ტერიტორია და კიუვეტები	ვიზუალური დათვალიერება	კვარტალურად	გარემოს დაბინძურებისაგან დასაცავად; გზაზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად	დუშეთის მუნიციპალიტეტი
სადრენაჟო კიუვეტების გამტარიანობის შენარჩუნება	კიუვეტების რეგულარული გასუფთავება დანალექისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან	გზის გასწვრივ არსებული სადრენაჟო კიუვეტები	ვიზუალური დათვალიერება	კვარტალურად	დრენაჟის სისტემის გამართულობის უზრუნველსაყოფად გზის დატბორვისა და წყლიმიერი დაზიანების თავიდან ასარიდებლად	დუშეთის მუნიციპალიტეტი
ავარიული დაღვრებისას ადგილის ლოკალიზება და დაბინძურებული ადგილის დასუფთავება	ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაღვრილი ან გაფრქვეული თხევადი ან ფხვიერი ტვირთაბის ნარჩენების დროული შეგროვება, გაუვნებელყოფა და გატანა	გზაზე და მის სიახლოვეს	ინსპექტირება	ავტოსაგზაო შემთხვევებისას, საჭიროების მიხედვით	გარემოს დაბინძურების აღსაკვეთად	საპატრულო პოლიცია; დუშეთის მუნიცპალიტეტი
გზის სარემონტო სამუშაოებისას წარმოქმნილი ნარჩენების მართვა	წარმოქმნილი ნარჩენების დრული გატანა ნაგავსაყრელზე	გზის მთელ მონაკვეთზე	ინსპექტირება	გეგმიური სარემონტო სამუშაოების დასრულებისას	გარემოს დაბინძურების აღსაკვეთად	დუშეთის მუნიცპალიტეტი

დანართი 1: პროექტის მდებარეობის რუკა



№	რესურსი RESOURCE	ლიცენზია LICENSE	მოცულობა, მ³ VOLUME, M³
1	ქვიშა-ხრეში / SAND-GRAVEL	100210	45600
2	ქვიშა-ხრეში / SAND-GRAVEL	100118	15600
3	ქვიშა-ხრეში / SAND-GRAVEL	00240	60000
4	ქვიშა-ხრეში / SAND-GRAVEL	100170	11400
5	ქვიშა-ხრეში / SAND-GRAVEL	01166	47400
6	ქვიშა-ხრეში / SAND-GRAVEL	00644	222020
7	ქვიშა-ხრეში / SAND-GRAVEL	100209	69000
8	ქვიშა-ხრეში / SAND-GRAVEL	00743	269000
9	ქვიშა-ხრეში / SAND-GRAVEL	100781	16000
10	ქვიშა-ხრეში / SAND-GRAVEL	01026	60000

REV.	AMENDMENTS	BY	APPROVED	DATE	

CONSULTANT:
KOCKS CONSULI GMBH, GEORGIAN BRANCH KOSTAVA I LANE, BUILDING #7, APT. #1: 0108 TBILISI, GEORGIA

DESIGNED / CHECKED / DRAWN / DATE

APPROVED: DATE:

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲒᲠᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐ "ᲐᲠᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ-ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲙᲕᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲚᲘᲛᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ
PREPARATION OF FS AND PRELIMINARY DESIGN, EMP AND SOCIAL MANAGEMENT PLAN AND BIDDING DOCUMENTS FOR DESIGN & BUILD REHABILITATION PROJECT OF KM 1.4 - KM 32.9 TRIANGI - NARGANI-SIGNAGHI ROAD

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ
MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA
ROAD DEPARTMENT OF GEORGIA

ᲐᲠᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲣᲙᲐ
BORROW PIT LOCATION MAP

ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ / SCALE: 1 : 50 000

ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲡ ᲝᲠᲘ�გᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲝᲛᲐ / ORIGINAL DRAWING SIZE: A3 (420 x 297)

ᲜᲐᲮᲐᲢᲘ / DRAWING BPM-01

დანართი 2: საჯარო განხილვის ოქმი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალი–ბარისახო–შატილის საავტომობილო გზის კმ16-კმ32 მონაკვეთის საარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვის

ოქმი

15.11.2016 ქ. დუშეთი

სხდომის თავმჯდომარე – გია სოფაძე, განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი

სხდომის მდივანი – მაია ვაშაკიძე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს დაცვის კონსულტანტი

მომხსენებელი – გია სოფაძე, მაია ვაშაკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: იხ. დანართი 1

საჯარო განხილვის მიზანი იყო დადგეგმილ სამუშაოთა უშუალო ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ამ სამუშაოთა არსის, ვადების, აგრეთვე განხილულ იქნა საკითხი სამუშაოთა მიმდინარეობისაგან მოსახლეობისთვის დროებითი უხერხულობის გაჩენის შესაძლელობის და სამუშაოების მსვლელობასთან დაკავშირებული არასასურველი მოვლენების შესამცირებლად დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხილვისას დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა დაესვა კითხვები და გამოეთქვა კრიტიკული მოსაზრებები გეგმის საბოლოო სახით ჩამოყალიბების დროს გათვალისწინების მიზნით.

საავტომობილო გზების დეპარტამენტს წარმოადგენდნენ განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს, გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი გია სოფაძე და საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს დაცვის კონსულტანტი მაია ვაშაკიძე.

საავტომობილო გზების განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს, გარემოს დაცვის განყოფილების უფროსმა გია სოფაძემ და საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს დაცვის კონსულტანტმა მაია ვაშაკიძემ დამსწრეებს გააცნეს შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა.

შეხვედრა გახსნა გია სოფაძემ და დამსწრეთ მოახსენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ გზების მშენებლობის შესახებ. განხილული იქნა ასევე თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის პრეზენტაცია გააკეთა მაია ვაშაკიძემ. განხილულ იქნა პროექტთან დაკავშირებული სამუშაოები, მათი შესაძლო ზემოქმედება გარემოზე და ადამიანების ჯანმრთელობაზე. განხილული იქნა შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც

საშუალებას იძლევა მისაღებ მინიმუმადე იქნას დაყვანილი გარემოზე ყოველგვარი მავნე ზემოქმედება გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზაში.

№	კითხვა	პასუხი
1.	როდის დაიწყება გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები?	სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება მას შემდეგ რაც ტენდერი გამოცხადდება და შესაბამისად გამარჯვებულიც გამოვლინდება
3.	რა მოხდება თუ კი გზის რეაბილიტაციის დროს წარმოიშვა მტვერი?	სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების დროს მშენებელი კომპანია ვალდებულია მორწყას ტერიტორია მტვრის აღმოფხვრის მიზნით
3.	დაცული იქნება თუ არა უსაფრთხოების ნორმები?	იქიდან გამომდინარე რომ პროექტი ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ, მშენებელი კომპანია ვალდებულია დაიცვას მისი (მსოფლიო ბანკის) უსაფრთხოების პოლიტიკა

საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები:

გია სოფაძე

მაია ვაშაკიძე

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ16 – კმ32
საჯარო განხილვა

№	სახელი, გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია (მობილური, მისამართი, ელ. ფოსტა)	შენიშვნა
1.	[illegible]	599 244009	[illegible]
2	[illegible]	591 113950 [illegible]	[illegible]
3	[illegible]	599 194388	[illegible]
4	[illegible]	595-16-00-18	[illegible]
5.	[illegible]	591-67-64-58 m.kariauli@gmail.com	[illegible]
6)	[illegible]	598-58-33-76; 595-220-340 m.navadze@mail.ru ქ.თბილისი, [illegible] ქ. N 28	[illegible]

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ16 – კმ32
საჯარო განხილვა

№	სახელი, გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია (მობილური, მისამართი, ელ. ფოსტა)	შენიშვნა
7	ნინა ავლოფარი	557-77-63-85; ქ. ლეჩხუმი ალმაშენებლის ქ. №100.	ლეჩხუმის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სანქციონირებული
8	მამუკა ჯიბუტაია	ქ. ლეჩხუმი, ჩიტაძე ქ. №30 ტელ: 579-08-31-19	ლეჩხუმის მუნიციპალიტეტის გამგეობის [illegible]
9	ალიკა გოგიჩაიშვილი	ქ. ლეჩხუმი, მნიშვნელის ქ. 47 ტელ: 596 10 15 40	მოსახლეობის ადმინისტრირების მიზანი სანქციონირების
10	ზაზა ნანიაშვილი	ქ. ლეჩხუმი ვაჟა-ფშაველას №31 591 71 27 07	ლეჩხუმის მუნიციპალიტეტის საინჟინერო გეოლოგიურ მიზანი სანქციონირების ნიმანი - [illegible]
11	თამარ ფალავანდიშვილი	595370417	[illegible]
12	გიორგი ბოლოქვინი	597761587	ლეჩხუმის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეხლიერებულია - საშინაო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების ბრძ. სანქციონირების.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ16 – კმ32
საჯარო განხილვა

№	სახელი, გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია (მობილური, მისამართი, ელ. ფოსტა)	შენიშვნა
13	[illegible]	551 53-94-64	[illegible]
14	[illegible]	593 52 81 89	[illegible]
15.	[illegible]	599-11-49-37	[illegible]
16	[illegible]	593-79-22-77	[illegible]

დანართი 3 შეთანხმება ნარჩენების განთავსების შესახებ

3.1. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

3.2. ხელმოწერის თარიღად მიჩნეულია თავსართში მითითებული თარიღი.

3.3. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია შეიცვალოს შეთანხმების მოქმედების ვადა.

3.4. მხარეები უფლებამოსილები არიან, წინასწარ მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) თვისა წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე.

3.5. „მხრე 2", ამ შეთანხმების ვადების დარღვევით, შეთანხმების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს „მხარე 1"-ს გრუნტის განთავსებისა და მოწყობისათვის გაღებული ხარჯი.

3.6. შეთანხმება შეწყდება:

3.6.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;

3.6.2. ვადის გასვლით;

3.6.3. ცალმხრივად, მეორე მხარისათვის წინასწარ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4. დამატებითი პირობები

4.1. წინამდებარე შეთანხმებია გაფორმებულია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, სადაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

4.2. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის ურყევ ნებას, რათა კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ამ შეთანხმების პირობები.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მხარე 1 **შპს „ ერ ტე დე"** **ს/კ 406102550** **დირექტორი** **ლუხუმ ქართლოსიშვილი**	**მხარე 2** **ფ/პ გელა ტუქსიშვილი** **პ/ნ 01008038637** **გელა ტუქსიშვილი**

დუშეთის რაიონი სოფ. შარახევი

20 ივნისი 2020 წელი

შეთანხმება N 20/06-01

ერთის მხრივ **შპს „ერ ტე დე“** წარმოდგენილი მისი **დირექტორის ლუხუმ ქართლოსიშვილის** სახით (შემდგომში წოდებული, როგორც **„მხარე 1“**) და მეორეს მხრივ **ფ/პ გელა ტუქსიშვილი** (პ/ნ 0100803863) (შემდგომში წოდებული, როგორც **„მხარე 2“**) ცალ-ცალკე „მხარედ“, ხოლო ერთობლივად წოდებული როგორც „მხარეები“, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი და პირობები

1.1. წინამდებარე შეთანხმებით, „მხარე 2“ გამოხატავს თავის ნებას 1.2 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიაზე განხორციელდეს „მხარე1“-ის მიერ ექსკავირებული გრუნტის განთავსება საჭიროებისამებრ, დაახლოებითი მოცულობა 1600მ³.

1.2. გრუნტის განთავსების ადგილი: დუშეთის რაიონი სოფ. შარახევი, ს/კ 71.60.28.902. დაზუსტებული ფართობი 1721კვ.3. (შემდგომში „ნაკვეთი“). ნაკვეთი წარმოადგენს „მხარე 2“-ის საკუთრებას.

1.3. „მხარე 1“ უფლებამოსილია აწარმოოს ექსკავირებული გრუნტის განთავსება წინამდებარე შეთანხმების გაფორმების დღიდან 2021 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

1.4. თავის მხრივ, „მხარე 1“ გამოხატავს თანხმობას მის მფლობელობაში არსებული ტექნიკური საშუალებით განახორციელოს, შეტანილი გრუნტის ფორმირება და მოსწორება.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მხარეები ვალდებულები არიან არ შეუშალონ ერთმანეთს ხელი ამ შეთანხმებით განსაზღვრული პირობების ჯეროვნად შესრულებაში. ნებისმიერი ასეთი ქმედება ჩაითვლება შეთანხმების დარღვევად და დამრღვევ მხარეს დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის სრული ოდენობით.

2.2. „მხარე 2“ ვალდებულია წინასწარ, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, წერილობით შეატყობინოს „მხარე 1“- ს ამ შეთანხმებით განსაზღვრული ნაკვეთის გასხვისების ან/და იჯარით სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში.

2.3. ნაკვეთის გასხვისების ან/და იჯარით სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული პირობები და ვალდებულებები სრულად გადაეცემა ახალ მფლობელს, შეთანხმების მოქმედების ვადით. სადაც „მხარე 2“-ს ჩაანაცვლებს ნაკვეთის ახალი მფლობელი.

3. მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

დანართი 4 კარიერების ლიცენზია

ხელშეკრულება საქონლის მიწოდების შესახებ

თარიღი: 2020 წლის 01 ივლისი

შპს „ჯიდ რესურსი" (შემდგომში „მიმწოდებელი")საიდ კოდი: **405251169** ერთის მხრივ, და **შპს "ერ ტე დე"** (შემდგომში „მყიდველი") საიდ. კოდი: 406102550 მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მიმწოდებელი" „მყიდველს" მიაწვდის – საკუთრებაში გადასცემს , ხოლო „მყიდველი" საკუთრებაში იღებს: ქვიშა-ღორღი (ბალასტი) (შემდგომში „პროდუქცია").

2. მიწოდებული საქონლის ფასი და მიწოდების პირობები

2.1. მისაწოდებელი „პროდუქციის" ფასია:
ქვიშა-ღორღი (ბალასტი), **183, 5** (ხუთი) ლარი , დ.ღ.გ-ს ჩათვლით, ადგილზე ექსკავაციის გარეშე, ხოლო ექსკავაციით **6** (ექვსი) ლარი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით, მიწოდების ადგილია საქართველო, დუშეთის რაიონი სოფელი თვალღვი. ლიცენზიის ნომერი: 10000021 და 1004026.

2.2. მყიდველი უკვეთავს, ხოლო გამყიდველი აწვდის შეკვეთის შესაბამის პროდუქციას, შეთანხმებულ დროსა და ადგილას.

2.3. „პროდუქცია" მიწოდებულად ჩაითვლება მყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ სასაქონლო ზედნადებზე ხელმოწერისთანავე.

2.4. პროდუქციის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2021 წლის 16 იანვრის ჩათვლით.

2.5. მხარეთა შეთანხმებით შესაძლოა შეიცვალოს პროდუქციის მიწოდების ვადები.

2.6. ანგარიშსწორება:

2.5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის ეტაპზე.

3. მხარეთა უფლება მოვალეობანი

3.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1.1. მიაწოდოს „მყიდველს" სივთიერებრივად და უფლებრივად უნაკლო პროდუქცია.

3.1.2. მიაწოდოს მყიდველს პროდუქცია რომელიც შეესაბამება შეთანხმებულ ხარისხსა და მოქმედ სტანდარტებს.

3.1.3. არ შეუშალოს მყიდველს ხელი პროდუქციის მიღებაში.

3.1.4. დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.

3.2. „მყიდველი" ვალდებულია:

3.2.1. დადგენილი წესით გადიხადოს მიწოდებული „პროდუქციის" ღირებულება.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დამდგარი ზიანისათვის.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე ძალაშია მხარეთა მიერ ყველა საკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

5.2. ხელშეკრულების მოქმედების მწყვეტის შემთხვევაში მხარეებმა უნდა შეასრულონ და დასრულონ მწყვეტამდე ერთმანეთის წინაშე საკისრი ვალდებულებები.

5.3. ხელშეკრულება შეწყდება:

5.3.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით,

5.3.2. ერთი მხარის მიერ, ცალმხრივად, მეორე მხარისათვის წინასწარ, მაგრამ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულ[illegible] შეიძლება შეჩერდეს ფორს-მაჟორული გარემოებების (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ომი, [illegible] ბოიკოტი, სახელმწიფო ორგანოების აქტები და მოქმედებები).

6.2. მხარე, რომელიც ფორს-მაჟორულ გარემოების არსებობას იმტკიცებს ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

6.3. აღნიშნულის შესახებ შეუტყობინებლობა ან არათავისმოროული მუტყობინება მხარეს უკარგავს უფლებას გამოიყენოს ფორს-მაჟორული გარემოება პასუხისმგებლობის მოსახსნელად. თუ შეტყობინების შეუსრულებლობა არ არის გამოწვეული ასეთი გარემოებით.

6.4. ფორს-მაჟორული გარემოებების გაგრძელებისას 2 თვეზე მეტ ხანს ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

7. სადავო საკითხების განხილვა და გამოსაყენებელი სამართალი

7.1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განიხილეს და გადაწყვეტილ იქნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა ან მისი ნაწილი ჩათვლება ბათილად, ამგვარი პირობის ძალის დაკარგვა ზემოქმედებას არ მოახდენს ხელშეკრულების სხვა პირობების მოქმედებაზე, ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დასახული მიზანი. ის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

7.3. მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი წინასწარ გაეცნენ ხელშეკრულების დებულებებს, მათ სრულად ესმით ამ დებულებათა შინაარსი და ისინი სათანადოდ შეისწავლეს მხარეთა იურიდიულმა მრჩეველებმა.

8. სხვა პირობები.

8.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის თუ ის სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

8.2. მხარეებს არ შეუძლიათ მეორე მხარეს წინასწარ წერილობითი თანხმობის გარეშე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები გადასცენ მესამე პირს.

8.3. მხარეები ვალდებულები არიან არ გაანონ წინამდებარე ხელშეკრულების პირობები მესამე პირებს, გარდა ბანკის ან სხვა საკრედიტო დაწესებულებისა.

8.4. მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული სხვა ზეპირი და წერილობითი შეთანხმებები, ამ ხელშეკრულებით რეგულირებული საკითხების შესახებ ითვლება ძალადაკარგულად.

8.5. ინფორმაციის მიმღები იღებს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას მეორე მხარისგან მიღებული კონფიდენციალური და სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ასეთი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისათვის დაიშვება ორივე მხარის თანხმობით, იმავეკვე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„მიმწოდებელი“	„მყიდველი“
შპს „ჯიენ რესურსი“ სოდენტიფიკაციო ნომერი: 405251169 ი.მის: საქართველო, ქ. თბილისი, სანერთაღლის რაიონი ი.პეტრიწის ქ 8, ნიმა 53 TBCBGE 22 GE05TB7331736080100006 დირექტორი: [illegible]	შპს „ერ ტე დე“ ს/კ 406102550 ი.მის: საქართველო.თბილისი მთაწმინდის რაიონი, ნიაღვრის ქ.4 ნ3 დირექტორი: ლუხუმ ქართველიშვილი

დანართი 5 ასფალტის ქარხანა

BSG-0933-MFD-APL-01970

იჯარის ხელშეკრულება

ქ.თბილისი **-01 იანვარი - 2021-წ.**

ერთი მხრივ, **შპს «კომპანია ბლექ სი გრუპი»,** ს.კ.: 204 477 734; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №71, სართული 3, ბლოკი VIII, ოფისი №16), შემდეგში წოდებული როგორც «მეიჯარე» ; წარმოდგენილი დირექტორის ამირან მამუჭაძის (პირადი №61001003844სახით,

და

მეორე მხრივ, **შპს «ერ ტე დე»**, ს.კ.: 406102550; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნიაღვრის ქ. #4, ბინა #3, შემდეგში წოდებული როგორც **«მოიჯარე»**,წარმოდგენილი დირექტორის ლუბუმ ქართლოსიშვილის (პირადი № 01027005959, სახით,

ცალ-ცალკე **«მხარედ»**, ხოლო ერთად **«მხარეებად»** წოდებულნი, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში **«ხელშეკრულება»**) შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს დროებით სარგებლობაში (იჯარით), ხელშეკრულების 2.1 პუნქტში აღნიშნულ საიჯარო ქონებას, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, ხოლო მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. საიჯარო ქონება

2.1. საიჯარო ქონების მონაცემებია:

2.1.1. საკადასტრო კოდი: 67.07.31.161 ;

2.1.2. მისამართი: რაიონი კასპი, სოფ. აღაიანი;

2.1.3. ოჯარით გადაცემული ქონების ფართი:ჯამში **12,197 .00 კვ.მ-ი; (-3197 კვ.მ-ი და 9000 კვ.მ)**;

2.2. საიჯარო ქონება წარმოადგენს მეიჯარეს საკუთრებას თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან, გაცემული განცხადების ნომრით: № 892018546167 ; მომზადების თარიღი:26/06/2018 წ.

2.3. ოჯარით გადაცემული ფართობის ზუსტი კორდინატები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული საკადასტრო აგეგმვითი/ეზომვით ნახაზში.

3. საიჯარო ქონების გადაცემისა და დაბრუნების წესი

3.1. საიჯარო ქონება გადაცემულად ითვლება მოიჯარეზე წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხდება ხელშეკრულების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში, ქონება გადაცემულად ითვლება ასეთი რეგისტრაციის თარიღიდან.

3.2. ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან (მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემთხვევაში, ასეთი რეგისტრაციის თარიღიდან) 2 კალენდარული დღის ვადაში მხარეთა შორის დგება აქტი, სადაც განისაზღვრება საიჯარო ქონების მდგომარეობა.

3.3. ხელშეკრულების 3.2 პუნქტში მითითებული აქტის არარსებობის შემთხვევაში ითვლება, რომ საიჯარო ქონება გადაცემის მომენტისთვის იყო ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობაში, ნივთობრივად უნაკლო.

3.4. ხელშეკრულების ვადის გასვლით ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია შეწყვეტისთანავე დაუბრუნოს მეიჯარეს) საიჯარო ქონება აღნიშნულზე მხარეთა შორის უნდა შედგეს აქტი, სადაც განისაზღვრება საიჯარო ქონების მდგომარეობა დაბრუნების მომენტისთვის.

3.5. მოიჯარე ვალდებულია, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში გაათავისუფლოს საიჯარო ქონება მისი კუთვნილი მოძრავი ქონებისგან.

3.6. თუ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოიჯარე კვლავ აგრძელებს ქონებით სარგებლობას, იგი ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი საიჯარო ქირა, ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის, გადაცილებული დღეების პროპორციულად.

3.7. ხელშეკრულების ვადის გასვლით ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებაზე აგებული უძრავი ქონება, (შეიძლება დარჩეს მეიჯარეს საკუთრებაში მოიჯარისათვის კომპენსაციის გადახდის შემთხვევაში)ან/მოიჯარე ახდენს შენობის დემონტაჟს.

3.8. აშენებული/აგებული უძრავის ქონების მშენებლობაზე გაწეული ხარჯების კომპენსაციის საკითხი განისაზღვრება დამატებითი შეთანხმებით, რომლის არარსებობის (შეუთანხმებლობის)შემთხვევაშიც მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების 3.7 პუნქტით დადგენილი პირობა.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. მეიჯარეს უფლებები და ვალდებულებები:

4.1.1. მეიჯარე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაათვალიეროს და შეამოწმოს საიჯარო ქონების მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში მისცეს მითითებები მოიჯარეს მისი მოვლისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით;

4.1.2. მეიჯარე ვალდებულია აანაზღაუროს მოიჯარის მიერ გაწეული ისეთი ხარჯები, რომლის ანაზღაურების ვალდებულებაც დადგენილია წინამდებარე ხელშეკრულებით,მხარეთა დამატებითი შეთანხმებით ან, აუცილებელია საიჯარო ქონების სარგებლობისთვის.

4.1.3. მეიჯარე უფლებამოსილია მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების გაუარესების შემთხვევაში, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოთხოვოს მოიჯარეს საიჯარო ქონების აღდგენა ან/და ზიანის ანაზღაურება.

4.2. მოიჯარის უფლებები და ვალდებულებები:

4.2.1. მოიჯარე უფლებამოსილია მოთხოვოს მეიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება;

4.2.2. მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ქონება გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნისთვის;

4.2.3. მოიჯარე ვალდებულია იჯარით აღებულ ფართში ეწეოდეს კანონიერ საქმიანობას და არ გამოიყენოს ქონება ან მისი ნაწილი უკანონო საქმიანობისთვის;

4.2.4. მოიჯარე ვალდებულია, ხელშეკრულებისნგაფორმებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს, საიჯარო ფართზე მისი როგორც ქვეპონენტად რეგისტრაცია, საკუთარი ხარჯით მოახდინოს კომუნალური მომსახურების (ელ.ენერგია, ბუნებრივი გაზი) მრიცხველების მონტაჟი და გადაიხადოს კომუნალური გადასახადები.

4.2.5. მოიჯარეს არ აქვს უფლება განახორციელოს იჯარით გადაცემული ფართის ნებისმიერი ფორმით ცვლილება, მეიჯარეს თანხმობის გარეშე;

4.2.6. მოიჯარე უფლებამოსილია იჯარით აღებულ ობიექტზე შეიტანოს გარკვეული ნივთები, რაც მისთვის აუცილებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ეს ნივთები უბრუნდება მოიჯარეს.

4.2.7. მოიჯარეს არ აქვს უფლება წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისი უფლებები/ვალდებულებები დაუთმოს/გადააკისროს მესამე პირს;

5. საიჯარო ქირა

5.1. საიჯარო ქონებით სარგებლობისათვის 1 თვის საიჯარო ქირა შეადგენს **5 000.00 (ხუთი ათასი),** ლარს, გადასახადების დღგ-ს ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულების 5.1 პუნქტით დადგენილი საიჯარო ქირა მოიჯარემ უნდა გადაუხადოს ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან მომდევნო 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.3. მხარეთა შორის ფულადი ვალდებულების შესრულება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, წინამდებარე ხელშეკრულებ(ებ)ი -ს მითითებულ საბანკო ანგარიშებზე თანხის გადარიცხვის გზით.

5.4. მოიჯარის მიერ საანგარიშსწორებო წლის საიჯარო ქირის მეტობით გადახდის შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება მომდევნო წლის გადასახდელი საიჯარო ქირის ანგარიშში.

5.5. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარეს მოიჯარის მიმართ აქვს რაიმე სახის ვალდებულება, მოიჯარე უფლებამოსილია მოახდინოს ასეთი ვალდებულების გაქვითვა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მეიჯარის ვადამოსულ თუ ვადამოუსვლელ ვალდებულებებთან, რისთვისაც მოიჯარე მეიჯარეს უგზავნის ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ ინფორმაციას.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან (მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემთხვევაში, ასეთი რეგისტრაციის თარიღიდან) და მოქმედებს **-31/12/2021 წ.-დე.**

6.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. პუნქტში აღნიშნული მოქმედების ვადის გასვლამდე მხარეები ხელშეკრულებით დადგენილი წესით არ გამოთქვამენ სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება არსებული პირობებით მის შეწყვეტამდე.

6.3. იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის არ არის მიღწეული შეთანხმება ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ხელშეკრულების ვადის გასვლისას (ან სხვა საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში), მოიჯარე ვალდებულია გაათავისუფლოს საიჯარო ქონება წინამდებარე ხელშეკრულების 3.5. პუნქტში მითითებულ ვადაში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ოჯარის ნივთის ცვლილების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით , მოიჯარე პასუხს არ აგებს.

7.3. მეიჯარეს, ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა ყველა იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნება მეიჯარის ან მასთან დაკავშირებული პირების და ნებისმიერი სხვა პირების ქმედებით თუ უმოქმედობით.

7.4. ამ ხელშეკრუოლებაში მითითებული საიაჯრო თანხის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების თანხის 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის;

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება:

8.1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლით;

8.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

8.1.3. იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე აღღვევს გადახდის ვადებს, ხოლო ვადაგადაცილებული გადადისათვის დარიცხული პირგასამტეხლო გადააჭარბებს 1 თვის საიჯრო თანხის 3 %-ს;

8.1.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დრის ვადაში მოიჯარე არა ან ვერ უზრუნველყოფს ელ.ენერგიის და ბუნებრივი გაზის მოხმარბაზე მისი როგორც (მოიჯარეს) ქვე/აბონენტად რეგისტრაციას;

8.1.5. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.1.6. ამ ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. სადაო საკითხების მოგვარების წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები მხარეთა შორის წყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. შეტყობინებები

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით გადასაცემი ნებისმიერი შეტყობინება წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარკვევით სხვაგვარად იქნება განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით და უნდა ჩაბარდეს მხარეს ფოსტით ან/და ელ-ფოსტით. შეტყობინება მეორე მხარისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება:

10.1.1. თუ მხარის მისამართზე გაიგზავნება ფოსტით და ჩაბარდება მხარის წარმომადგენელს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.1.2. თუ მხარის მისამართზე გაიგზავნება ფოსტით არანაკლებ ორჯერ, მიუხედავად იმისა, ჩაიბარებს თუ არა მხარე გზავნილს;

10.1.3. თუ მხარის მისამართზე გაიგზავნა ელ-ფოსტით - მიმღების მიერ ელ. გზავნილის მიღების დადასტურებისას.

10.2. შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს მოიჯარის შემთხვევაში იურიდიულ ან ფაქტობრივ მისამართზე ან ელ-მისამართზე.

10.3. მისამართის ცვლილების შემთხვევაში მხარეები ვალდებულები არიან ერთმანეთს აცნობონ ამის შესახებ არაუგვიანეს 1 კვირისა მისამართის შეცვლიდან. ცვლილების მეორე მხარისთვის შეტყობინებამდე მხარის მიერ წინა მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება სწორ მისამართზე გაგზავნილად და ჩაბარებულად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულების დარღვევა გამოწვეულია მდგომარეობით, რომელთა გათვალისწინება და გადალახვა გონივრული მეთოდებით შეუძლებელია (ფორს-მაჟორული გარემოებანი). მათ შორის მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, ნისლი, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება, სამხედრო მოქმედებები, ეპიდემიები, გაფიცვები, ბლოკადა, ემბარგო, და სხვა გარემოებები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა უნდა იყოს საყოველთაოდ ცნობილი ანდა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ; ხოლო ის, რომ ფორს-მაჟორული გარემოება გახდა ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი, ვალდებულების დამრღვევი მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს.

გარდამავალი დებულებები

11.3. მხარეები ადასტურებენ, რომ გააჩნიათ ყველა სათანადო ნებართვა თუ თანხმობა და აკმაყოფილებენ ყველა შესაბამის პირობას იმისათვის, რომ დადონ ეს ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ ხელმომწერმა პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ის არ იყო უფლებამოსილი მოეწერა ხელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე, მას დაეკისრება მხარისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა (ნებისმიერი საფუძვლით) არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას, თუ აღნიშნული არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების შინაარსს.

11.5. ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული დანართები და სხვა დოკუმენტაცია წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

11.6. ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია 2 (ორი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, ეგზემპლარები იდენტურია და გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა, ამასთან ერთი ეგზემპლარი განკუთვნილია მეიჯარესთვის , ხოლო ერთი კი მოიჯარისთვის.

11.7. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების გაფორმებასთან, ცვლილებასთან და მათი შესაბამისი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრაციას შემთხვევაში , რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს მოიჯარე.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

მეიჯარე

12.1.შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 204 477 734;

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №71, სართული 3, ბლოკი VIII, ოფისი №16.

საბანკო რეკვიზიტები:

სს "თიბისი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი

ბანკის კოდი: TBCBGE22;

ა.ა: GE61TB1100000107467338

ტელ.: +995 32 20-74-74; ფაქსი: +995 32 20-74-20

ელ-ფოსტა: info@bsg.com.ge

მოიჯარე

12.2. შპს „ერ ტე დე

საიდენტიფიკაციო კოდი: 406102550;

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნიაღვრის ქ. #4, ბინა #3,

საბანკო რეკვიზიტები:

სს "თიბისი ბანკი",

ბანკის კოდი: TBCBGE22;

ა.ა: GE34 TB 0804 3360 2010 0002;

ტელ.: 599 784411

ელ-ფოსტა: technic-drive@hotmail.com

მეიჯარე

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი"

ა.მამულაშვილი/დირექტორი

მოიჯარე

შპს „ერ ტე დე"

RTD LTD Digitally signed by R T D LTD Date: 2021.04.13 16:44:33 +04'00'

ლ. ქართლოსიშვილი/ დირექტორი